# როგორ ვასწავლოთ ევროკავშირი

## რეგიონებსა და ეთნიკურ უმცირესობებში

# როგორ ვასწავლოთ ევროკავშირი რეგიონებსა და ეთნიკურ უმცირესობებში

## /პოლიტიკის რეკომენდაციის დოკუმენტი/

დოკუმენტი ქვეყნდება ერასმუს+ ჟან მონეს მოდულის ფარგლებში **„სამართლის პროგრამების ევროპეიზაცია საქართველოში"** (Jean Monnet Module: 101084764 — EU-LP-GE). მოდულს  ახორციელებს კავკასიის უნივერსიტეტი. დოკუმენტის შინაარსი შემუშავდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული ტრენინგის საფუძველზე: **„ევროკავშირი და საქართველოს სამართლებრივი ევროპეიზაცია".** დოკუმენტში ასახულია ის მოსაზრებები, ხედვები და რეკომენდაციები, რაც ტრენინგის პროცესში გაახმოვანეს ტრენინგის მონაწილეებმა.

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. თუმცა გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორ(ებ)ს და არ ასახავს ევროკავშირის ან ევროპული განათლებისა და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოს (EACEA) შეხედულებებს. არც ევროკავშირი და არც EACEA არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი მათზე.

**კავკასიის უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**საქართველო**

**22-24 აპრილი, 2024**

## ავტორები:

**ტრენერები, ჟან მონეს მოდულის პროფესორები:**
ეკატერინე ქარდავა
გურანდა ჭელიძე

**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები:**
სოფო მსხვილიძე
ვაჟა აბულაძე
ლიზი თევდორაშვილი
ილია ცინაძე
ლევანი ლეკიშვილი
მარიამ გოგოლაძე

**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი:**
ლალი ბერიძე
ლია ზაზაშვილი
გულიკო ბექაური

**რედაქტორები:** პროფ. ეკატერინე ქარდავა, პროფ. გურანდა ჭელიძე

## ადგილი:

ახალციხე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

# სწავლების მიზანი და აუცილებლობა

- საქართველოს ეროვნული მიზნების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და სტრატეგიული კომუნიკაცია;
- ევროკავშირისა და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის შესახებ შემეცნების ზრდით რეგიონის მრავალეთნიკური მოსახლეობის ერთმანეთთან მეტი მჭიდრო ურთიერთდაკავშირება (გაერთიანება საერთო მიზნის ირგვლივ);
- სახელმწიფოებრივი ხედვისა და ერის სამომავლო განვითარების შესახებ პოლიტიკის გავრცელება;
- მეგობარს უნდა იცნობდე; პარტნიორს უნდა იცნობდე;
- სიახლისადმი, პროგრესისადმი ადაპტირება და „შიშების“ გადალახვა;
- წარსულში დაბრუნების სურვილის დაძლევა - თაობათა კონსოლიდაცია და ახალგაზრდული მოძრაობების ბუნების შემეცნება;
- დეზინფორმაციასთან ბრძოლა.

# სწავლების შინაარსი (რა საკითხები უნდა ისწავლებოდეს)

- რეგიონისა და მოსახლეობისთვის არსებითად საჭირო, სპეციფიკური და შესაბამისი საკითხები (მაგალითად, სოფლის კოოპერატივები);
- ევროკავშირის შესახებ (ისტორია, გაფართოება, სამეზობლო პოლიტიკა და სხვა);
- ევროკავშირის ფასეულობები (მათ შორის, კოპენჰაგენის კრიტერიუმების) პრაქტიკული მაგალითებითა და განმარტებებით;
- ევროკავშირის გადაწყვეტილებების მიღების სპეციფიკა;
- ევროკავშირის ინსტიტუტები, მათი ფუნქციები, მოქმედებისა და ძალაუფლების თავისებურებები;
- საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების დინამიკა;
- ევროკავშირის დახმარებების ინსტრუმენტები, ოდენობა; ვის მიემართება და ვის მიეცემა ევროკავშირის დახმარებები;
- ევროკავშირის პოლიტიკა რეგიონების განვითარების მიმართულებით;
- ევროპული ინტეგრაციის ფუნდამენტები;
- სამართლებრივი ვალდებულებების ბუნება და მოცულობა, აპროქსიმაციის არსი და კონკრეტული მაგალითები (გამოცდილება);

- ევროკავშირის მხრიდან საქართველოსადმი გაცემული რეკომენდაციების შინაარსი;
- 2023 წლის გაფართოების პაკეტის ათი ქვეყნის შედარებითი მდგომარეობა;
- საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების სპექტრი, სტრქუტურა, დიზაინი (კლასტერები და თავები);
- ევროკავშირის სამართალი;
- ევროკავშირის სხვადასხვა პოლიტიკა (მაგალითად, ენერგეტიკის, ტრანსპორტის);
- ევროკავშირთან ვაჭრობა (დინამიკაში);
- ევროკავშირის ინვესტიციები საქართველოში;
- ევროკავშირის დახმარებებით მიღწეული შედეგები საქართველოში;
- ევროკავშირის სოციალური პოლიტიკა (საზოგადოებრივი ჯანდაცვა, შრომა და დასაქმება);
- ევროკავშირი და ქრისტიანობა (სარწმუნეობა);
- ევროკავშირის დახმარებებით აღდგენილი და შენარჩუნებული ქართული ისტორიული და კულტურული ძეგლები;
- ევროკავშირი და რეგიონების დახმარება, სოფლის მეურნეობის პოლიტიკა;
- საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის განმარტება.

# სწავლების მეთოდები და აქტივობები

- ფაქტებზე, ისტორიულ წყაროებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სწავლება;
- სწორი სწავლება (შედეგზე მიმართული და ფასეულობების განმავითარებელი სწავლება);
- სწავლება კონკრეტული ქეისებითა და პრაქტიკით (როგორც ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნების, ასევე, საქართველოს გამოცდილება);
- სიმულაციური სწავლება და მოდელირება (მაგალითად, როგორ იღებს გადაწყვეტილებას ევროკავშირი);
- შედარებითი სწავლება სხვადასხვა პროგრამასა და სასწავლო საგანში;
- ღიაობის, თავისუფლებისა და გახსნილობის პრინციპებით პოლიტიკური ქეისების გარჩევა;
- დებატები, კამათი, პრეზენტირება;
- ჯგუფური მუშაობა.

# სწავლების ინსტრუმენტები და სწავლების დონეები

- ფორმალური სწავლება (სრული კურსები) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- სწავლება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული სასწავლებლების სხვადასხვა პროგრამებში;
- ევროკავშირის ბანაკები და სწავლება არაფორმალურ გარემოში;
- უშუალოდ ევროკავშირის და ევროკავშირის სხვადასხვა პოლიტიკასთან თემატურად დაკავშირებული სახელმძღვანელოები (სასკოლო სახელმძღვანელოები; საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები);
- ისტორიის სახელმძღვანელოებში (ისტორიის სწავლებისას) ევროკავშირისთვის მეტი ადგილის დათმობა;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ევროკავშირზე სწავლება;
- პედაგოგებისთვის ევროკავშირის სწავლება;
- მედია-საშუალებებში მეტი საინფორმაციო სივრცე ევროკავშირის შესახებ (პოლიტიზირების გარეშე);
- კვლევების ხელშეწყობა ევროკავშირის შესწავლის/შემეცნების მიმართულებით;
- ახალგაზრდების სერტიფიცირება და ჯგუფური საინიციატივო სწავლებების ორგანიზება მათი მხრიდან

რეგიონის სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან შემდგომი მუშაობისთვის (ხანდაზმულებთან, ეთნიკურ უმცირესობასთან);

- დაბრუნდი იქ, სადაც ისწავლე - უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისთვის თავიანთი მიღწევების გაზიარების შესაძლებლობების გახსნა;
- დამსაქმებლებთან კომუნიკაციით შერჩეული ვიწრო საკითხები (თემები, ქვე-თემები).

## როგორ ვასწავლოთ ევროკავშირი

## სწავლების ენა

- სწავლება სახელმწიფო ენაზე - ქართულ ენაზე;
- ეთნიკური უმცირესობა უნდა ფლობდეს სახელმწიფო/კონსტიტუციურ ენას;
- გამონაკლის შემთხვევებში, ხანდაზმული მოსახლეობისათვის მათ ენაზე სწავლების ორგანიზება და ინფორმაციული ხელმისაწვდომობა (ბეჭდური, სატელევიზიო);
- არა რუსულ ენაზე სწავლებას, რომელიც დღემდე აღიარებულია ქართველებსა და ეთნიკურ უმცირესობას შორის საკომუნიკაციო ენად.

# ვინ უნდა ასწავლოს ევროკავშირი?

- პროფესიონალმა, რომელიც არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულად იცნობს ევროკავშირს, მის ინსტიტუტებს, მისი ფუნქციონირების წესრიგს, მის დარგობრივ პოლიტიკებს;
- პროფესიონალმა, რომელიც არის მკვლევარი და მეცნიერი ევროკავშირისა და ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით და რომელსაც გამოქვეყნებული აქვს ღირებული, აღიარებული, ავტორიტეტული პუბლიკაციები უშუალოდ ევროკავშირის შესახებ (აქვს საკუთარი ნაკვლევი და მიგნებები);
- პროფესიონალმა, რომელიც არის არაპოლარიზებული და არაპოლიტიზირებული;
- პროფესიონალმა, რომელსაც მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება აქვს სფეროში მუშაობის.

**კონტაქტი:**

ეკატერინე ქარდავა, eka_kardava@yahoo.com

გურანდა ჭელიძე, gchelidze@cu.edu.ge